



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

ჰომისებს უალური ურთიერთობების მქონე
მამაკაცების მახასიათებლები, მაღალი რისკის
შემცველი ქვევები, სბბი/აივ/შიდსის შესახებ ცოდნა
და აივ-ის, სიცილისის და ვირუსული პეპაზიტების
გავრცელება
თბილისი, საქართველო
2007

ქცევის ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერის კომპონენტით
სგგი/აივ/შიდსის პრევენციის პროექტი საქართველოში




Save the Children®



საინფორმაციო
სამედიცინო-
ფსიქოლოგიური
ცენტრი თანადგომა



ინფექციური
დაავადებების, შიდსისა
და კლინიკური
იმუნოლოგიის
სამეცნიერო
პრაქტიკული ცენტრი



მარტი 2008

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის პრევენციის პროექტი ხორციელდება ჯანდაცვაში სათანადო ტექნოლოგიების პროგრამასთან (PATH), ცენტრთან "თანადგომა" და საზოგადოებრივ გაერთიანება ბეჭონთან ურთიერთთანამშრომლობით, ასევე ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკულ ცენტრთან, ნარკოლოგიის სამეცნიერო/კვლევით ინსტიტუტთან, და კანისა და ვენსნეულებების სამეცნიერო/კვლევით ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მოცემული კელევა დაფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის პრევენციის პროექტის ფარგლებში (ერთობლივ შეთანხმება 114-A-00-02-00095-00). მოცემულ ანგარიშში გამოთქმული აზრები აუცილებლივ არ ასახავს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შესეღულებებს.

ავტორები:

ლარი ლერშემი, Ph.D, მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი,
ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", საქართველოს ოფისი,
თბილისი, საქართველო
ნინო წერეთელი, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის კოორდინატორი,
საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი
"თანადგომა", თბილისი, საქართველო
გზა გაბატაძე, ექიმი, MPH, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის
მენეჯერი, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", საქართველოს
ოფისი, თბილისი, საქართველო
ოთა ცაგარელი, ექიმი, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის დირექტორი,
ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", საქართველოს ოფისი,
თბილისი, საქართველო

ინტერვიუერები:

სერგი ჩიხლაძე
მაია ჯიბუტი
ირინა ბრეგვაძე
ნათია ჩიკვატია
შორენა კუჭუხიძე
ოლივრ ბურჯანაძე

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა:

მანანა ლვაბერიძე, მეცნიერი თანამშრომელი, შიდსის ცენტრი, სეროლოგიისა
და ვირუსოლოგიის ლაბორატორიის უფროსი, თბილისი,
საქართველო

ნათია ლვალი, შიდსის ცენტრი, ლაბორატორიის ექიმი, სეროლოგიისა და
ვირუსოლოგიის ლაბორატორია, თბილისი, საქართველო

თარგმანი (ინგლისურიდან)

ნინო წერეთელი, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის კოორდინატორი,
საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი
"თანადგომა", თბილისი, საქართველო

ილუსტრაციები

სატიტულო ფურცელსა და საკუთრივ ანგარიშში მოთავსებული
ილუსტრაციები წარმოადგენს სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის
საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო კომპონენტისათვის
გამოყენებული ბუკლეტების, საინფორმაციო ფურცლებისა და ბროშურების
თავისებურ გაფორმებას.

მადლობა

ქცევის ზედამხედველობისა (BSS) და ბიომარკერული მახასიათებლების ეს კვლევა და წინამდებარე ანგარიში არის მრავალი პიროვნების, ორგანიზაციისა და ინსტიტუტის ძალისხმეულის შედეგი – დაწყებული პროექტის ჩასახვიდან დაგეგმვის, საველე სამუშაოების, მონაცემთა ანალიზის, მათი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებისა და რედაქტირების ჩათვლით. ურველი მათგანის წვლილი შეუფასებელია. ამ მნიშვნელოვანი კვლევისთვის საჭირო თანხები გაიღო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისი განვითარების სააგენტომ (USAID).

დაგეგმვის ადრეულ ეტაპებზე კვლევა დიდწილად ეფუძნებოდა პროფესიონალიზმს, გამოცდილებასა და ცოდნას, რომელიც ჰქონდა "თანადგომას" საქართველოში პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის მიერ წლების მანძილზე ჩატარებულმა მუშაობამ განსაკუთრებით წამყვანი როლი ითამაშა აღნიშნული კვლევის წამოწყებაში. ამაზე დაყრდნობით, ჯინა დალაბეტამ, რომელიც მუშაობდა ოჯახის ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციაში (და რომელიც ამჟამად მოღვაწეობს ბილ და მელინდა გეიტსების ფონდში), წარმართა კვლევებზე მუშაობის პროცესი, რომელიც აღსავს ეს ახალი აღმოჩენებით სამიზნე ჯგუფებში მაღალი რისკის ქცევის ზედამხედველობასთან დაკავშირებით, რამაც დიდი წვლილი შეიტანა კვლევის დროს გამოყენებულ პროტოკოლებში. ჯინა დალაბეტას რჩევა და ხელმძღვანელობა არა მხოლოდ დიდი გამოცდილება იყო პროექტში ჩატარებულთათვის, არამედ გადამწყვებიც საბოლოოდ გამოყენებული ანონიმური და ნებაყოფლობითი სისტემური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ამ კვლევების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე იყო საველე სამუშაოები. "თანადგომას" მთელმა შტატმა ძალიან დიდი დრო დაუთმო კვლევის მომზადებას, ინტერვიუების ჩატარებას და სისხლის ნიმუშების აღებას. ორგანიზაცია „ეს სი თი კვლევა“ დაქირავებულ იქნა ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად: მონაცემების შეგროვების პროცესში ხარისხის კონტროლის განსახორციელებლად, მონაცემთა ბაზის შექმნისათვის, მონაცემთა შეყვანისა და გაწმენდისათვის.

შეუძლებელია ყველა იმ ავტორის ჩამოთვლა, ვინც მონაწილეობა მიიღო მოცემული ანგარიშის დამუშავებაში. ბევრმა ადამიანმა წაიკითხა და შეასწორა ანგარიში და შეიტანა დირებული წვლილი საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებაში. თუმცა, ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს წარმოდგენილ ანგარიშს, მხოლოდ ჩამოთვლილ ავტორებს შეიძლება მიეწეროს.

ნებისმიერი დოკუმენტის თარგმანა, განსაკუთრებით ანგარიშისა, რომელიც დაწერილია სპეციფიური ტექნიკური, ჯანდაცვისა და სტატისტიკური ტერმინლოგიის გამოყენებით, არის საკმაოდ რთული. მიუხედავად ამისა, ნინო წერეთელმა შეძლო, მოეწოდებინა ქართულ ენაზე ანგარიშის მაღალკვალიფიციური ვერსია; ამგვარად, ეს ანგარიში ხელმისაწვდომი ხდება ფართო ქართული აუდიორორისთვის, ვინც კი დაინტერესებულია პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებისათვის მომსახურების გაუმჯობესების საკითხებით.

დაბოლოს, სგგი/აივ/შიდსის პრევენციის პროექტმა უნდა აღიაროს იმ ადამიანების წვლილი, ვინც მოისურვა, დაეთმო დრო, გაეზიარებინა თავისი ცხოვრების ისტორიები და მოეწოდებინა სისხლის ნიმუშები, რათა ეს ანგარიში ხორცებს უნდოւნ უფილიყო. ესენი არიან პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები. მათი კეთილი ნება, მიეღოთ მონაწილეობა ამ წამოწყებაში საქართველოში მცხოვრები ყოველი ადამიანისათვის დადებითი და ჯანმრთელი მომავლის პერსპექტივას რეალურად აქცევს.

სარჩევი

გადლობა	რრორ!	ოოკმარპ ნოტ დეფინედ.
სურათები	რრორ!	ოოკმარპ ნოტ დეფინედ.
ცხრილები	რრორ!	ოოკმარპ ნოტ დეფინედ.
შემოკლებები	რრორ!	ოოკმარპ ნოტ დეფინედ.
ბანმარტებები	რრორ!	ოოკმარპ ნოტ დეფინედ.

რეზიუმე	
შესაბალი	
ქცევის ზედამხედველობის პლევა	
მახასიათებლები	
ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება	
სქესობრივი ისტორია და ქცევა	
კონდომების და ლუბრიკაციების ხელმისაწვდომობა და გამოყენება	
ძალადობა	
აივ-თან დაკავშირებული ცოდნა, მოსაზრებები და დამოკიდებულებები	
აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება	
სქესობრივი გზით გადამდები ინციძები	
მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ზემოქმედება	
გირგარებერი	
ძირითადი განსხვავებები აირველ (2005) და მეორე (2007) კვლევებს შორის	
გადასაჭრელი საკითხები	
დასპენები და რეკომენდაციები	
მონაცემთა ცხრილების დანართი	რრორ!
კომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების კითხვარი (ქართული)	რრორ!
ოოკმარპ	

სურათები

სურათი 1: საქართველოს რეგა; მოსახლეობა – 4.4 მილიონი
სურათი 2: საქართველოს დედაქალაქი, თბილისი; მოსახლეობა – 1.1 მილიონი
სურათი 3: აივ-ის ახალი შემთხვევების რაოდენობა 1996-დან 2006 წლის ჩათვლით
სურათი 4: კომოსექსუალური ურთიერთობების მარცე მამაკაცები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
სურათი 5: კომოსექსუალი მამაკაცები, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ
სურათი 6: რა ტიპის სქესობრივი აარტნიორები გზაცდათ გოლო 12 თვეს განმავლობაში
სურათი 7: სბბი-ის სიმატომები კომოსექსუალი მამაკაცების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
სურათი 8: სივილისის, და ჩ კეპატიტები და და აივ-ის გავრცელება კომოსექსუალ მამაკაცებში
სურათი 9: კომოსექსუალი მამაკაცების რეპრუტიონების ტალღები

ცხრილები

- ცხრილი 1: თბილისში კომოსექსუალური ურთიერთობების მძღვა
მამაკაცებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა.....
- ცხრილი 2: პლევის თარიღი, მონაცილეობის მაჩვენებლები.....
- ცხრილი 3: პლევის მონაცილეების დემოგრაფიული
მახასიათებელები.....
- ცხრილი 4: ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება.....
- ცხრილი 5: სქესობრივი ისტორია.....
- ცხრილი 6: კომერციული პარტნიორები.....
- ცხრილი 7: კომერციულ სექსში ჩართულობა.....
- ცხრილი 8: სქესობრივი ურთიერთობა ჩალებიან.....
- ცხრილი 9: ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა.....
- ცხრილი 10: კონდომების და ლუმინიკანცების გამოყენება.....
- ცხრილი 11: სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.....
- ცხრილი 12: აივ/შილსთან დაკავშირებული ცოდნა, მოსაზრება,
დამოკიდებულება.....
- ცხრილი 13: ქალადობა.....
- ცხრილი 14: ინტერვენციების ზემოქმედება.....
- ცხრილი 15: გასობრივი კომუნიკაციები საჭალებები
ზემოქმედება.....

შემოგლებები

შილსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის ვირუსი

შილსის ცენტრი - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი

BSS - ქვევის ზედამხედველობის კვლევა

ELISA - ენზიმური შილებული იმუნოსორბენტული ანალიზი

HBV – B ჰეპატიტის ვირუსი

HCV – C ჰეპატიტის ვირუსი

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

RPR - მიკრორეაქცია კარდიოლიპიდური ანტიგენით

RDS - რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა

SHIP Project - სგი/აივ/შილსის პრევენციის პროექტი

SPSS - სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის

სბბი - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

TPHA - ჰემაგლუტინაციის რეაქცია სპიროქეტული ანტიგენით

ცეტ - ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ ინფექციაზე

განმარტებები

ანონიმური ტესტირება - ტესტირება, რომლის დროსაც სახელი არ არის ცნობილი, მაგრამ შედეგები დაკავშირებულია ციფრთან, რომელიც მხოლოდ მონაწილისათვის არის ცნობილი.

ბისექსუალი – ადამიანი, რომელიც სქესობრივ კონტაქტს ამყარებს ორივე სქესის ადამიანებთან.

პომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცის კლიენტი – ადამიანი, რომელთანაც პომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცი ამყარებს სქესობრივ კონტაქტს ფულის ან სხვა რაიმე ღირებულის სანაცვლოდ.

კონდომის მუდმივი გამოყენება - კონდომის გამოყენება ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს.

ჰეტეროსექსუალი – ადამიანი, რომელიც სქესობრივ კონტაქტს ამყარებს საბირისპირო სქესის ადამიანთან.

მაღალი რისკის ქცევა - ნებისმიერი ქცევა, რომელიც ქმნის პიროვნების ან პიროვნებების სგაი/აიფ/შიდსით ინფიცირების ან მეორე პიროვნებისათვის ამ ინფექციების გადაცემის საფრთხეს.

პომოსექსუალი – ადამიანი, რომელიც სქესობრივ კონტაქტს ამყარებს თავისივე სქესის ადამიანთან.

მამრობითი სქესის სექს-მუშაკი – მამაკაცი, რომელიც სქესობრივ კონტაქტებს ფულადი ანაზღაურების სახაცვლოდ ამყარებს.

არარეგულარული (შემთხვევითი) სქესობრივი პარტნიორი – სქესობრივი პარტნიორი, რომელთან ურთიერთობაც გრძელდება წელიწადზე ნაკლები დროს პერიოდის განმავლობაში და რომელიც არ არის მეუღლე, თანაცხოვრებაში მყოფი პარტნიორი ან სექს-მუშაკი.


რეგულარული (მუდმივი) სქესობრივი პარტნიორი – მეუღლე, პარტნიორი, ვისთან ერთადაც ადამიანი ცხოვრობს ან სქესობრივი პარტნიორი, რომელთან ურთიერთობაც ერთი წელი ან მეტი გრძელდება.

ადგილმდებარეობა

სურათი 1: საქართველოს რუკა; მოსახლეობა - 4.4 მილიონი.



სურათი 2: საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, მოსახლეობა 1.1 მლნ.



რეზიუმე

ეს ანგარიში წარმოადგენს 2007 წელს თბილისში, საქართველოში პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებს შორის ჩატარებული ქცევის ზედამხედველობის კვლევის (BSS) შედეგებს. ამ ჯგუფის პირველი ასეთი კვლევა ჩატარდა 2005 წელს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის “აივ/შიდსისა და სგი-ის პრევენცია კომერციული სექსის მუშაკებში”, პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებში და მათ კლიენტებში” ფარგლებში. ეს იყო პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებს შორის სხვადასხვა სარისკო ქცევების გავრცელების საბაზისო კვლევა.

ამ ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა ამ ჯგუფთან ჩატარებული მეორე BSS-ია. ზოგიერთი მისი მიგნება შედარებულია პირველი კვლევის მიგნებებთან, რომელიც უფრო მცირე მასშტაბის კვლევას წარმოადგენს.


ამ კვლევაში გამოყენებული იქნა რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის ჯაჭვურ-კასკადური მეთოდი. 5 პომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცი რეკრუტირებულ იქნა, როგორც საწყისი “მარცვლები”, რომლებისგანაც დაიწყო შერჩევა თოვლის გუნდის პროცესის მსგავსად. სამი კვირის განმავლობაში რეკრუტირებულ იქნა 140 პომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცი. 13 მათგანი თავისი ნევით მოვიდა კვლევაში მონაწილეობის მისაღებად, მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ ასეთი კვლევა ტარდებოდა.

ინტერვიუები ჩატარდა 2007 წლის 26 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით. ინტერვიუები ჩატარდა პირისპირ, „თანადგომას“ დატრენინგებული შტატის წევრების მიერ, ქართულ ენაზე. რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვები მაღალი რისკის ქცევების, სგი-ისა და აივ/შიდსის ცოდნის და ჯანდაცვის დაწესებულებებში მათი მიმართვიანობის შესახებ. ინტერვიუს შემდეგ ყოველ რესპონდენტს შესთავაზეს სისხლის ადება სიფილისზე, C და B ჰეპატიტებზე (HCV, HBV) და აივ ინფექციაზე ანონიმური ტესტირების ჩასატარებლად.

შესაგალი

1996 წლიდან აღინიშნებოდა აივ-ის შემთხვევების რაოდენობის ზრდა (იხილეთ სურათი 3). შემთხვევების ზრდის ორი მნიშვნელოვანი ნახტომი დაფიქსირდა 1999-2000 და 2003-2004 წლებში. თუმცა, ზოგადად, სგი/აივ-ის ზედამხედველობის სისტემა საქართველოში სუსტია, და სავარაუდოა, რომ ის რეალურზე უფრო დაბალ მაჩვენებლებს იძლევა. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს სგი-ის გავრცელების მატების ამსახავი მონაცემები მიუთითებს მომავალში აივ-ის სქესობრივი კაგშირის გზით ფართო მოსახლეობაში გავრცელების ტემპის მოსალოდნელ ზრდაზე.

სურათი 2: აივ-ის ახალი შემთხვევების რაოდენობა 1996-დან 2006 წლის ჩათვლით



2007 წლის 9 ოქტომბრის მონაცემებით, რეგისტრირებულია აიგ-ის 1406 შემთხვევა, 1074 მათგან მამაკაცია და 332 – ქალი; ინფიცირებულთა უმრავლესობა 29-დან 40-მდე წლის ასაკისაა.¹ საქართველოში აიგ ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა რეალური რაოდენობა სავარაუდოდ 3,500-ია.² აიგ-ის რეგისტრირებული შემთხვევების 60.7%-ს ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები შეადგენენ; 32.3% გადაცემულია ჰეტეროსექსუალური კონტაქტით (ამ ჰეტეროსექსუალური კონტაქტების 1/3 მოდის ცნობილ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე); პომობისექსუალური კონტაქტების წილია 2.8%; სისხლის რეციპიენტების – 0.8%; 2.0% ვერტიკალური გადაცემის შედეგია, ხოლო 1.4%-ში კი გადაცემის გზა უცნობია.³

სამიზნე ჯგუფი – პომოსექსუალური ურთიერთობების მარნე მაგაპაცები

როგორც ჩანს, განსაკუთრებით მაღალი სარისკო ქცევის მქონე ჯგუფები წამყვან როლს თამაშობენ საქართველოში აიგ ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით. პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები განიხილება, როგორც ძირითადი ჯგუფი, რომელიც წამყვანია აიგ-ის სქესობრივი გზით გადაცემის კუთხით, რაც გამოწვეულია სქესობრივი კონტაქტის ტიპითა და მრავლობითი პარტნიორების ყოლით. სისტემატური და განმეორებითი ქცევითი მონაცემების შეგროვება არსებითია ისეთი სარისკო ქცევების დასადგენად, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული პრევენციული ჩარევის დროს. მაშინაც კი, როდესაც “უსაფრთხო სექსის” (ანუ კონდომის გამოყენების) პრაქტიკა მაღალია, მაინც მნიშვნელოვანი იქნება სხვა ისეთი ინფორმაციისათვის თვალის გადევნება, როგორიცაა: ვისი ინიციატივაა უსაფრთხო სექსი, როგორ ხდება კონდომის გამოყენების შესახებ მოლაპარაკება და რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს მამაკაცების ქცევა “მუდმივ” პარტნიორებთან, შემთხვევით პარტნიორებთან და მათთან, ვინც კომერციული სექსითა დაკავებული.

SHIP პროექტის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის – “თანადგომას” გამოცდილებაზე დაყრდნობით, თბილისში პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების შემდეგი კატეგორიები არსებობს:

1. მამაკაცები, რომლებიც ჩართული არიან კომერციულ სექსში. ეს კატეგორია შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად მასში შემავალი მამაკაცების სოციალურ-განონიკური სტატუსიდან გამომდინარე:
 - a) ყველაზე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური დონის ჯგუფი შედგება ძირითადად თბილისში ჩამოსული ადამიანებისაგან, რომლებიც ძალიან დარიბები არიან და კომერციულ სექსში ერთვებიან თავის შენახვის მიზნით. მათი სექსუალური უპირატესობები შეიძლება არ იყოს (და, როგორც წესი, არც არის) პომოსექსუალური ბუნების, მაგრამ ისინი ცდილობენ, გაყიდონ თავისი მომსახურება ფულის ან, ხანდახან, მხოლოდ ღამის გათევის თუ თავშესაფრის სანაცვლოდ.
 - b) კომერციულ სექსში ჩართული მამაკაცების მეორე (მუ) ჯგუფი შედგება ისეთი მამაკაცებისაგან, რომელთაც ძირითადად აქვთ შემოსავლის რაიმე

¹ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, http://aidscenter.ge/epidsituation_eng.html.

² ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, http://aidscenter.ge/epidsituation_eng.html.

³ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, http://aidscenter.ge/epidsituation_eng.html.

სხვა წყარო და კომერციულ სექსში ერთვებიან დოის გარკვეული პერიოდით. ისინი შეიძლება იყვნენ (და ხშირად არიან კიდევაც) ბისექსუალური ორიენტაციის – ჰყავთ ასევე ქალი პარტნიორებიც.

გ) მესამე ჯგუფი შედგება ისეთი მამაკაცებისაგან, რომელთა “მიზანსაც” მდიდარი და განთქმული კლიენტები წარმოადგენენ. ისინი თავის მომსახურებას რამდენიმე მიზნით აწვდიან, როგორიცაა პარტნიორების შოვნა, თანხის ან რაიმე ფინანსური/მატერიალური ანაზღაურების მიღება, ან მაღალ საზოგადოებასთან დაახლოვება.

2. მამაკაცები, რომლებიც ჩართულნი არ არიან კომერციულ სექსში. აქ შეიძლება განვასხვავოთ 4 ჯგუფი:

- ა) ძალიან დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფი, რომელსაც პრაქტიკულად არ ფარავს პრევენციული პროგრამები;
- ბ) საშუალო დონის ჯგუფი. მათ, როგორც წესი, აქვთ რეგულარული ან გარკვეული არარეგულარული შემოსავალი. მათი უმრავლესობა არის ან ბისექსუალური ან პომოსექსუალური ორიენტაციის;
- გ) ეგრეთ წოდებული “საშუალოზე მაღალი დონის” ჯგუფი – მამაკაცები, რომელთაც აქვთ სურვილი, აღიარონ თავისი სქესობრივი ქცევის თავისებურებები, თუმცა ჯერ კიდევ არა ფართო საზოგადოების, არამედ მსგავსი ქცევის მქონე აღამიანთა ჯგუფის წინაშე;
- (3) პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების ყველაზე მაღალი სოციალურ-ეკონომიკური დონის ჯგუფის წარმომადგენლები მიეკუთვნებიან
- ან ასოცირებულნი არიან საზოგადოების არტისტულ, ხელოვნების წრეებთან. ისინი შეიძლება იყვნენ მომდევლები, ტანსაცმლის დიზაინერები,
- მხატვრები და ა.შ. და ცდილობენ არ დამალონ თავისი სქესობრივი ქცევის
- თავისებურებები. თუმცა, ქართული მენტალიტების და ზოგადად პომოსექსუალობის მიმართ დამოკიდებულების გამო ისინი ამას კერბალურად არ გამოხატავენ და ურჩევნიათ ამის დემონსტრირება ქცევით,
- ჩაცმულობის სტილით და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არის გარკვეული მცირე მიგრაცია პომოსექსუალური ქცევის მამაკაცების ორ ძირითად – «კომერციულ» და «არაკომერციულ» კატეგორიებს შორის. ასევე, პირველი – «კომერციული» კატეგორიის ბ) და გ) ჯგუფებში წარმომადგენელებს აქვთ ტენდენცია, მცირე ჯგუფებად გაერთიანდნენ, შეიკრან და არ პქონდეთ კომუნიკაცია სხვა ქვეჯგუფებთან.

წინამდებარე კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მამაკაცებმა ორივე ძირითადი კატეგორიიდან (კომერციული და არაკომერციული), მაგრამ თითოეული ქვეჯგუფის წარმომადგენლობა დამოკიდებული იყო რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის პროცესზე; ეს ნიშნავს, რომ რომელიმე სპეციფიკური ქვეჯგუფიდან მონაწილეების მოზიდვისათვის რაიმე სპეციალური წახალისება გამოყენებული არ იყო.

ქვემოთ მოცემულ 1-ელ ცხრილში წარმოდგენილია მიგნებების შეჯამება 2007 წლის კვლევის განსხვავებული ინდიკატორების მიხედვით. ანალიზი შეიცავს გაეროს შიდსის პროგრამის მიერ მოწოდებული ასაკობრივი ჯგუფების (<25 წელი და 25+ წელი) მიხედვით დაყოფასაც თითოეული ინდიკატორისათვის, რაც წარმოდგენილია დანართში მონაცემთა ცხრილებში. თუმცა, ანგარიშის ლაკონურობის მიზნით ყველა

პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების მახასიათებლები, მაღალი რისკის
შემცველი ქცევები, და სგვი/აივ/შიდსის შესახებ ცოდნა, თბილისი, საქართველო, 2007

ასაკობრივ ჯგუფს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების განხილვა ანგარიშში არ
იქნება წარმოდგენილი.

**ცხრილი 1: თბილისში პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებისათვის
დამახასიათებელი ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა**

ძირითადი ინდიკატორები	გავრცელება			
	<25 წ (n=57)	25+ წ (n=83)	სულ (n=140)	
ბიომარკერი				
რეპტიული სიფილის სეროლოგია	35.1% (20/57)	28.9% (24/83)	31.4% (44/140)	
პეპტიტი В	12.3% (7/57)	8.4% (7/83)	10% (14/140)	
პეპტიტი С	14.0% (8/57)	16.9% (14/83)	15.7% (22/140)	
აივ (ELISA Western Blot-ის დადასტურებით)	3.7% (2/54)	3.7% (3/82)	3.7% (5/136)	
ფერგრაფიული მახასიათებლები				
ასაკის მედიანი	20 წ (57/57)	34 წ (83/83)	27 წ (140/140)	
განათლების დონე	66.7% საშუალო (38/57)	50.6% საშუალო (42/83) 48.2% საშუალოს შემდგომი (40/83)	57.1% საშუალო (80/140) 55.8% საშუალოს შემდგომი (58/140)	
ოჯახური მდგომარეობა	78.9% არასოდეს ყოფილა დაქორწინებული (45/57)	54.2% არასოდეს ყოფილა დაქორწინებული (45/83)	67.9% არასოდეს ყოფილა დაქორწინებული (95/140)	
ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება				
ყოველდღე მოიხმარს ალკოჰოლს	5.3% (3/57)	4.8% (4/83)	5.0% (7/140)	
გამოუყენებია ნარკოტიკები	50.9% (29/57)	31.3% (26/83)	39.3% (55/140)	
რომელი ნარკოტიკი გამოუყენებია	86.2% მარიჯუანა (25/29)	92.3% მარიჯუანა (24/26)	89.1% მარიჯუანა (49/55)	
გამოუყენებია ნარკოტიკი ინექციური გზით	17.2% სუბუტექსი (5/29)	26.9% სუბუტექსი (7/26)	21.8% სუბუტექსი (12/55)	
ინექციისათვის გამოიყენა საზიარო ნემსი/შპრიცი	17.2% (5/29)	30.8% (8/26)	23.6% (13/55)	
0.0% (0/5)	0.0% (0/8)	0.0% (0/13)		
სქესობრივი ისტორია და ქცევა				
სქესობრივი პარტნიორის ტიპი ბოლო 12 თვის განმავლობაში:				
მამრობითი სქესის შემთხვევითი პარტნიორი	75.4% (43/57)	81.9% (68/83)	79.3% (111/140)	
მამრობითი სქესის შემთხვევითი პარტნიორი	38.6% (22/57)	43.4% (36/83)	41.4% (58/140)	
მდედრობითი სქესის შემთხვევითი პარტნიორი	54.4% (31/57)	42.2% (35/83)	47.1% (66/140)	
მდედრობითი სქესის ქომერციული სქესის შემთხვევითი პარტნიორი	29.8% (17/57)	9.6% (8/83)	17.9% (25/140)	
მამრობითი პარტნიორუების რაოდენობა ბოლო 6 თვის განმავლობაში:				
1 – 5	80.7% (46/57)	61.4% (51/83)	69.3% (97/140)	
6 – 10	10.5% (6/57)	18.1% (15/83)	15.0% (21/140)	
II+	8.8% (5/57)	20.5% (17/83)	15.7% (22/140)	
ოდესმე მიუდია მონაწილეობა ჯგუფურ სექსში სქესობრივი მომსახურება გაუწევია მამაკაცისათვის ანაზღაურების სახაცვლო	17.5% (10/57)	39.8% (33/83)	30.7% (43/140)	
33.3% (19/57)	12.0% (10/83)	20.7% (29/140)		
კონტაქტები და ლურიკანტები				
კონდომის გამოყენება ბოლო თრადური	44.7% (17/38)	42.9% (24/56)	43.6% (41/94)	
კონტაქტის დროს	60.4% (29/48)	62.5% (45/72)	61.7% (74/120)	
კონდომის გამოყენება ბოლო ანალური	20.0% (1/5)	66.7% (2/3)	37.5% (3/8)	
კონტაქტის დროს მამრობით სექს-მუშაკთან	31.3% (15/48)	37.5% (27/72)	35.0% (42/120)	
კონდომის გამოყენება ბოლო ანალური	82.4% (14/17)	75.0% (6/8)	80.0% (20/25)	
კონდომის იყენება კონდომს კომერციული სქესის შუშაკებთან	29.4% (5/17)	25.0% (2/8)	28.0% (7/25)	
კონდომის გამოყენება ბოლო კონტაქტის დროს შემთხვევით ქალ პარტნიორთან	57.6% (19/39)	46.0% (23/55)	50.6% (42/83)	
ლურიკანტების გამოყენება მამაკაცებთან	26.3% (15/140)	33.7% (28/140)	30.7% (43/140)	
ანალური კონტაქტების დროს	33.3% (5/15)	17.9% (5/28)	23.3% (10/43)	
ძალადობა				
ყოველა ძალადობის მსხვერპლი სექსუალური	17.5% (10/57)	24.1% (20/83)	21.4% (30/140)	
ორიენტაციის გამო	10.5% (6/57)	16.9% (14/83)	14.3% (20/140)	


პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების მახასიათებლები, მაღალი რისკის
შემცველი ქცევები, და სგვი/აივ/შიდსის შესახებ ცოდნა, თბილისი, საქართველო, 2007

ვერბალური (ზეურაცხყოფა) სქესობრივი (გაუპატიურება) მოძალადე	10.5% (6/57) 5.3% (3/57) უცნობი (5/10)	13.3% (11/83) 8.4% (7/83) უცნობი (13/20)	12.1% (17/140) 7.1% (10/140) უცნობი (18/30)
აივ/შიდსთან დაკავშირებული ცოდნა, მოსაზრებები და დამოკიდებულებები			
გაუგია აივის ან შიდის შესახებ	94.7% (54/57)	98.8% (82/83)	97.1% (136/140)
ახლო ნათესავი ან მეგობარი არის ინფიცირებული, დაგადებული ან გარდაიცვალა შიდით სწორად უპასუხა აივის გადაცემის შესახებ 6 კითხვას	15.8% (9/57)	15.7% (13/83)	15.7% (22/140)
აივ ინფექციაზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება			
აივ-ზე ნებაყოფლობითი ტესტირება ხელმისაწვდომია	85.2% (46/54)	92.7% (76/82)	89.7% (122/136)
ჩაუტარებია ნებაყოფლიბითი ტესტირება აივ ინფექციაზე და მიღებული აქვს ანალიზის პასუხი	16.7% (9/54)	62.2% (51/82)	41.4% (58/140)
სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები			
არ იცის სგბი-ის სიმპტომები	49.1% (26/53)	13.4% (11/82)	27.4% (37/135)
ჰქონია გენიტალური გამონადენი ბოლო 12 თვის განმავლობაში	21.1% (12/57)	12.0% (10/83)	15.7% (22/140)
ჰქონდა გენიტალური წყლული ბოლო 12 თვის განმავლობაში	5.3% (3/57)	3.6% (3/83)	4.3% (6/140)
ჰქონია ანალური გამონადენი ბოლო 12 თვის განმავლობაში	5.3% (3/57)	1.2% (1/83)	2.9% (4/140)
ოდესტე გაუკეთებია ანალიზი სგბი-ის დასადგენად	38.6% (22/57)	75.9% (63/83)	60.7% (85/140)
გაიგო ამ ანალიზის შედეგი	90.9% (20/22)	100% (63/63)	97.6% (83/85)

მახასიათებლები

- ამ კვლევაში პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების ასაკი მერყეობდა 18-დან 64 წლამდე, ასაკის მედიანა იყო 27 წელი.
- რესპონდენტების სამოცდაათ პროცენტზე ოდნავ მეტი (73.3%) 20-დან 39 წლამდე ასაკისაა: 43.6% იყო 20-დან 29 წლამდე ასაკის და 29.7% - 30-დან 39 წლამდე ასაკის.
- თითქმის ათი პროცენტი (7.1%) 50 წლის ან უფრო მეტი ასაკის არის.

**სურათი 3: პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები ასაკობრივი ჯგუფების
მიხედვით**




- უმრავლესობა (67.9%) არასოდეს ყოფილა დაქორწინებული; თუმცა, 16.4% იყო იმუამად დაქორწინებული, 14.3% - განწორწინებული, და 1.4% - ქვრივი.
- მიღებული განათლების წლები მერყეობდა 4-დან 22 წლამდე, საშუალოდ (მედიანა) - 13 წელი. ორ მესამედს (66.4%) დასრულებული პქნდა საშუალო განათლება.
- ხუთი პროცენტი იყო იძულებით ადგილნაცვალი პირი.
- თითქმის ორი მესაუთედი (40% ანუ 55) დაბადებულია თბილისში.
- ის რესპონდენტები, ვინც არ დაიბადა თბილისში (85), საშუალოდ 15 წელია, რაც თბილისში ცხოვრობენ (სტანდარტული გადახრა=10წ).

ალკოჰოლის და ნარკოტიკების გონიერება

- რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი (46%) ალკოჰოლს იღებს სულ მცირე კვირაში ერთხელ, ხოლო მცირე პროცენტი (5%) ალკოჰოლს ყოველდღიურად მოიხმარს.
- პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებიდან 25 წელზე ნაკლები ასაკის ჯგუფში უფრო დიდ ნაწილს (50.9%) გამოუყენებია ნარკოტიკები, ვიდრე 25 და მეტი წლის რესპონდენტებს (31%).
- იმ რესპონდენტებიდან, ვისაც გამოუყენებია ნარკოტიკები, ინექციური მოხმარება თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებადაა გავრცელებული ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში, ვიდრე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში (შესაბამისად, 17% და 31%).

სურათი 4: პომოსექსუალი მამაკაცები, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ




- ზემოთ აღნიშნული განსხვავება ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარებაში მდგომარეობს შემდეგში: უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის უფრო დიდი ნაწილი, მათგან, ვინც აღნიშნავს ნარკოტიკების მოხმარებას, ძირითადად არასაინექციო ნარკოტიკებს იყენებს, როგორიცაა მარიჯუანა და დამამშვიდებლები, მაშინ, როცა უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ის წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავენ ნარკოტიკების მოხმარებას, იყენებენ ინექციურ ნარკოტიკებს, როგორიცაა ჰეროინი და სუბუტექსი.

სქესობრივი ისტორია და ქცევა

- რესპონდენტებს ჰყითხეს, თუ რა ტიპის სქესობრივი პარტნიორები ჰყავდათ ბოლო 12 თვის მანძილზე. ჩამოთვლილი იყო ექვსი ტიპის სქესობრივი პარტნიორი. როგორც ეს ნაჩვენებია მექანიკური სურათზე, თითქმის ორჯერ უფრო მეტ რესპონდენტს ჰქონდა სქესობრივი კონტაქტი მამრობითი სქესის შემთხვევით, ვიდრე მუდმივ პარტნიორებთან.

სურათი 5: რა ტიპის სქესობრივი პარტნიორები გყავდათ ბოლო 12 თვის განმავლობაში



- ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფიდან რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (54.4%) ბოლო წლის განმავლობაში ჰყავდა მდედრობითი სქესის შემთხვევითი პარტნიორები, ხოლო უფროს ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა - 42.2%.
- რესპონდენტთა ოდნავ უფრო მეტ პროცენტს ჰყავს მდედრობითი, ვიდრე მამრობითი სქესის კომერციული პარტნიორები: ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფიდან 30%-ს ჰყავდა მდედრობითი, ხოლო 12%-ს – მამრობითი კომერციული პარტნიორები. უფროსი ასაკობრივი ჯგუფისათვის ეს განსხვავება ასეთი დიდი არ იყო (შესაბამისად, 10% და 15%).
- ახალგაზრდა რესპონდენტების დიდმა უმრავლესობაში (81%) აღნიშნა, რომ 1-დან 5-მდე მამრობითი სქესობრივი პარტნიორი ჰყავდა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. ეს მაჩვენებელი უფროსი ასაკობრივი ჯგუფისათვის 61%-ია.

- 20 ან მეტი მამრობითი სქესობრივი პარტნიორის ყოლის პრევალენტობა ბოლო ექვები თვის განმავლობაში უფრო მაღალია უფროს ასაკობრივ ჯგუფში, ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით (10% და 2 %, შესაბამისად).

ორალური სქესობრივი კონტაქტები

- ორივე ასაკობრივ ჯგუფში ორ მესამედზე ოდნავ მეტმა (67% და 68%) აღნიშნა, რომ პქონდა ორალური სქესობრივი კონტაქტი მამაკაცთან ბოლო 6 თვის განმავლობაში.
- ამ რესპონდენტებიდან, კითხვაზე, იყო თუ არა გამოყენებული კონდომი მამაკაცთან ბოლო ორალური კონტაქტის დროს, 25 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტების 45%-მა და 25 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტების 43%-მა დაღებითი პასუხი გასცა. კითვაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებდნენ კონდომს ორალური სექსის დროს ბოლო 6 თვის განმავლობაში, თითქმის სამოცდაათმა პროცენტმა (68% თითოეულ ჯგუფში) აღნიშნა, რომ ამას კონსისტენტურად (ყოველთვის) არ აკეთებდნენ.
- გარდა ამისა, კითხვაზე, თუ რამდენ სხვადასხვა მამრობით პარტნიორებთან პქონდათ ორალური კონტაქტი ბოლო 6 თვის განმავლობაში, უმცროსმა ასაკობრივმა ჯგუფმა აღნიშნა საშუალოდ 2 მამაკაცი, ხოლო უფროსმა – საშუალოდ 3 მამაკაცი.

ანალური სქესობრივი კონტაქტები

- კონდომის გამოყენება იზრდება მამაკაცებთან ანალური სექსის შემთხვევაში. იმ 120 ჰომოსექსუალი მამაკაციდან, რომლებმაც უპასუხეს ამ კითხვას (20-მა არ უპასუხა), 62%-მა აღნიშნა კონდომის გამოყენება მამაკაცთან ბოლო ანალური კონტაქტის დროს. ასაკობრივ ჯგუფებს შორის მცირე განსხვავება აღინიშნა.
- კითხვაზე, თუ რა სიხშიროთ იყენებდნენ კონდომს ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს ბოლო 6 თვის განმავლობაში, რესპონდენტების ორმა მესამედმა (65%) აღნიშნა, რომ არ იყენებდა კონდომს კონსისტენტურად (ყოველთვის).
- მაღალი რისკის შემცველ ქცევებთან ერთად 12%-მა ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფიდან და 10%-მა - უფროსი ჯგუფიდან აღნიშნა, რომ მათი მამრობითი სქესის პარტნიორები მოიხმარდნენ ინექციურ ნარკოტიკებს.

კომერციული სქესობრივი კონტაქტები

- უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის ერთ მესამედს (32%) პქონდა სქესობრივი კონტაქტი კომერციულ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში. უფროს ასაკობრივ ჯგუფში ამ კითხვას დაღებითად მხოლოდ 10%-მა უპასუხა.
- კითხვაზე, ბოლო კომერციული პარტნიორი მამაკაცი იყო თუ ქალი, 71%-მა უმცროსი ასაკობრივი ჯგუფიდან და 63%-მა - უფროსი ასაკობრივი ჯგუფიდან აღნიშნა, რომ ის მდედრობითი სქესის იყო. მათ უმრავლესობაშ - 82%-მა უმცროსი ჯგუფიდან და 75%-მა უფროსიდან - აღნიშნა, რომ გამოიყენეს კონდომი ბოლოს, როდესაც კონტაქტი პქონდათ მდედრობითი სქესის კომერციულ პარტნიორთან.
- ჰომოსექსუალი მამაკაცების უმრავლესობა (72%) არ იყენებს კონდომს კონსისტენტურად (ყოველთვის) კომერციულ სქესობრივ პარტნიორებთან.
- უფროსი ასაკობრივი ჯგუფის უფრო დიდი ნაწილი (63%) განიხილავს აივ/შიდსს ან სგბი-ს კომერციულ პარტნიორებთან, ვიდრე უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (41%).

კომერციულ სექსში ჩართულობა

- უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის ერთი მესამედი (33%) არის ჩართული კომერციულ სექსში, შედარებით უფროს ჯგუფთან (12%).

- უმცროსი ასაკობრივი ჯგუფიდან ისინი, ვინც ჩართულნი არიან კომერციულ სექსში, 42% აკეთებს ამას 2-3-ჯერ თვეში, ხოლო 32% - კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად.
- უმცროსი ასაკობრივი ჯგუფიდან მათ ნახევარს (50%), ვინც ჩართულნი არიან კომერციულ სექსში, აქვთ შემოსავლის სხვა წყარო (სამუშაო), კომერციული სექსის გარდა.
- კითხვას, მიიჩნევენ თუ არა, რომ ისინი “ჩართულნი არიან კომერციულ სექსში”, დიდმა უმრავლესობაში ორივე ასაკობრივი ჯგუფიდან უარყოფითი პასუხი გასცა (შესაბამისად, 78% და 89%).
- იმ რესპონდენტებიდან, ვისაც გაუწევია სქესობრივი მომსახურება მამაკაცისათვის მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფში 78%-მა არ გამოიყენა კონდომი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს, მაშინ, როდესაც უფროსი ასაკობრივი ჯგუფიდან 78%-მა გამოიყენა კონდომი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს.

ჯგუფური სქესობრივი პრაქტიკა

- დაახლოებით ხუთიდან ერთი (18%) ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფიდან და ხუთიდან 2 (40%) უფროს ასაკობრივი ჯგუფიდან ყოფილა ჩართული ჯგუფურ სქესობრივ პრაქტიკაში.
- რესპონდენტთა ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში უმრავლესობას (70%) აქვს მონაწილეობის გამოცდილება მხოლოდ მამაკაცებისაგან შემდგარ ჯგუფურ სექსში, ხოლო უფროს ასაკობრივ ჯგუფში კი 52%-ს - მამაკაცებისგან შემდგარ ჯგუფურ სექსში, და 39% - შერეულ ჯგუფურ სექსში.
- კონდომის გამოიყენების მაჩვენებელი ჯგუფური სექსის დროს დაახლოებით ერთნაირია ორივე ასაკობრივი ჯგუფისათვის (შესაბამისად, 60% და 58%).

კონდომების და ლუბრიკაციების ხელმისაწვდომობა და გამოყენება

- ყველა რესპონდენტს სმენია კონდომის შესახებ და თითქმის ყველას (94%) გამოუყენებია კონდომი სქესობრივი კონტაქტის დროს.
- თბილისში პომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცებისათვის კონდომების სამი ძირითადი წყარო არის აფთიაქები (93%), არასამთავრობო ორგანიზაცია “თანადგომა” (45%) და მეგობრები (13%).
- ლუბრიკანტების გამოიყენების მაჩვენებელი ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს დაბალია: 26% ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში და 34% - უფროს ასაკობრივ ჯგუფში.
- კითხვაზე, თუ რატომ არ იყენებენ ლუბრიკანტებს ანალური სექსის დროს, ყველაზე ხშირი პასუხებია “არ ვიცი” (39%), “არ ვიყენებ ლუბრიკანტებს” (15%) და “არ მჭირდება” (14%).
- იმ რესპონდენტთაგან, რომლებიც იყენებენ ლუბრიკანტებს ანალური კონტაქტის დროს, ორივე ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ მცირე პროცენტი აკეთებს ამას კონსისტენტურად (ყოველთვის) (შესაბამისად, 33% და 18%).

ქალადობა

- დაახლოებით ერთი ყოველი ხუთი პომოსექსუალი მამაკაციდან, 18% უმცროსი და 24% - უფროსი ასაკობრივი ჯგუფიდან, ყოფილა ძალადობის მსხვერპლი მათი სექსუალური ორიენტაციის გამო.
- იმ რესპონდენტებიდან, ვინც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი, ძალადობის ტიპი სიხშირის მიხედვით იყო: 66% - ფიზიკური ძალადობა (ცემა, ჭრილობის მიყენება), 57% - სიტყვიერი შეურაცხოფა, და 33% - გაუპატიურება.

- ამ რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (60%) მოძალადედ უცნობს ასახელებს, ხოლო 10%-ზე ნაკლები – ოჯახის წევრებს და მეგობრებს.

აივ/შიდსთან დაკავშირებული ცოდნა, მოსაზრებები და დამოკიდებულებები

- თითქმის ყველა რესპონდენტს (97%) სმენია აივ-ისა და შიდსის შესახებ.
- ყოველი სამი რესპონდენტიდან ერთი (32%) იცნობს ადამიანს, ვინც ინფიცირებულია აივ-ით ან გარდაიცვალა შიდსით. ამათგან 40% აღნიშნავს, რომ ეს ადამიანი მათი ნათესავია და 12% - რომ მეგობარი.
- პომოსექსუალი მამაკაცების დიდი უმრავლესობის (93%) აზრით, მათ შეუძლიათ აივ-საგან თავის დაცვა კონდომის სწორი გამოყენებით ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს; თუმცა, მხოლოდ 71% ფიქრობს, რომ მათ შეუძლიათ თავის დაცვა აივ-ისაგან ანალური სექსისაგან თავშეკავების გზით.
- დაახლოებით ცხრა ყოველი ათი რესპონდენტიდან თვლის, რომ შეუძლია აივ/შიდსისაგან თავი დაიცვას ერთი ჯანმრთელი, სანდო სქესობრივი პარტნიორის ყოლით.
- ახალგაზრდა და უფროსი ასაკობრივი ჯგუფებიდან მცირე პროცენტი (შესაბამისად, 19% და 28%) სწორად პასუხობს ექვსივე კითხვას აივ-ის გადაცემის შესახებ.⁴
- პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების უმრავლესობას - 88%-ს – სჯერა, რომ ადამიანი, რომელიც ჯანმრთელად გამოყურება, შეიძლება აივ ინფიცირებული იყოს.

აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება

- ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში 85% ამბობს, რომ მათთვის შესაძლებელია აივ ინფექციაზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება. ეს პროცენტული მაჩვენებელი 93%-ს აღწევს უფროს ასაკობრივ ჯგუფში.
- საკვირველია, მაგრამ ახალგაზრდა რესპონდენტების მხოლოდ 17%-ს ჩაუტარებია ოდესმე ტესტირება აივ-ზე; ამის საპირისპიროდ, უფროს ჯგუფში ეს მაჩვენებელი 62%-ია.
- ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში იმ რესპონდენტებიდან, ვისაც ჩატარებული პქონდა ტესტირება აივ-ზე, უმრავლესობამ (67%) ეს ტესტირება ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩაიტარა. უფროს ასაკობრივ ჯგუფში 51%-მა ჩაიტარა ტესტირება ბოლო წლის განმავლობაში, ხოლო 25% - ერთი ან ორი წლის წინ.
- აივ-ზე ტესტირების შედეგ პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი მივიდა შედეგის გასაგებად (100% უმცროსი და 96% - უფროსი ასაკობრივი ჯგუფიდან).


სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

- თითქმის ყველა რესპონდენტს (97%) სმენია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ (სგგი).

⁴ 6 კითხვა იყო: 1) შეუძლიათ თუ არა ადამიანებს დაიცვან თავი აივ-ისაგან ყოველი სქესობრივი კავშირის დროს პრეზერვატივის გამოყენებით?; 2) შეიძლება თუ არა, ადამიანს დაემართოს აივ-ი კოდოს კბენის შედეგად?; 3) შეიძლება თუ არა, ადამიანმა თავი დაიცვას ამ ინფექციისაგან, თუკი მას უყოლება ერთი ერთგული და ჯანმრთელი პარტნიორი?; 4) შეიძლება თუ არა, ადამიანებმა დაიცვან თავი აივ-ისაგან სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავების გზით?; 5) შესაძლებელია თუ არა ადამიანის დაინფიცირება აივ ინფიცირებულის ნაპირალი საკვებით?; და 6) შეიძლება თუ არა, ადამიანს დაგმართოს ეს ინფექცია, თუკი ის მოიხმარს სხვის მიერ გამოყენებულ შპრიცს/ნემსს?

- კითხვაზე, ჩამოეთვალით სგგი-ისთან დაკავშირებულ სიმპტომები, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფიდან 49%-მა ვერ შეძლო თუნდაც ერთი სიმპტომის დასახელება. ეს მაჩვენებლი მცირდება 13%-მდე უფროს ასაკობრივ ჯგუფში.
- ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ყველაზე ხშირად დასახელებულ იქნა გენიტალური გამონადენი, ჩუბის გადაწევის შეუძლებლობა და წვის შეგრძენება შარდვის დროს.
- კითხვას, ჰქონიათ თუ არა გამონადენი სასქესო ორგანოებიდან ბოლო 12 თვის განმავლობაში, დადგებითი პასუხი გასცა 21%-მა უმცროსი ასაკობრივი ჯგუფიდან, შედარებით მხოლოდ 12%-თან უფროს ასაკობრივ ჯგუფში.

სურათი 6: სგგი-ის სიმპტომები პომოსექსუალი მამაკაცების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



- უფროსი ასაკობრივი ჯგუფიდან უმრავლესობას (76%) ჩატარებული აქვს ტესტირება სგგი-ზე. თუმცა, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფიდან უმრავლესობას (61%) არ აქვს ეს ტესტირება ჩატარებული.
- პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი ორივე ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაც ჩატარებული აქვთ ტესტირება სგგი-ზე, მიბრუნდა ტესტირების პასუხებისათვის და შეიტყო თავისი შედეგები.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ზემოქმედება


- ინფორმაციის წყაროები სგგი-ისა და აივ-თან დაკავშირებით განსხვავდება რესპონდენტების ასაკობრივ ჯგუფებს შორის. რანჟირების მიხედვით, ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფისათვის წამყვანი ინფორმაციის წყაროებია მეგობრები, ტელევიზია/რადიო და სოციალური მუშაქები. ხოლო უფროსი ასაკობრივი ჯგუფისათვის კი - ტელევიზია/რადიო, სოციალური მუშაქები, გაზეოთები და მეგობრები.
- ბოლო 4 კვირის განმავლობაში, უფროსი ასაკობრივი ჯგუფიდან 89% ტელევიზორს ყოველდღე უყურებდა; ეს მაჩვენებელი ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფისათვის არის 54%.
- რადიოს მოსმენა ნაკლებად გავრცელებული აღმოჩნდა. იმავე ბოლო 4 კვირის განმავლობაში ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის 25% და უფროსი ჯგუფის 40% უსმენდა რადიოს ყოველდღე.

გირგარები

- პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების ორმოცდაშვიდი პროცენტი (47.1% ანუ 66) დადებითი აღმოჩნდა ოთხი ჩატარებული ბიომარკერიდან ერთზე ან მეტზე (სიფილისი, HBV, HCV და აიგ).
- 12 რესპონდენტს აღმოჩნდა დადებითი პასუხი ორ ბიომარკერზე და ერთს – სამ ბიომარკერზე.

- რესპონდენტების თითქმის ერთი მესამედი დადებითი იყო სიფილისის ტესტზე.
- C ჰეპატიტის ვირუსის პრევალენტობა არის 14% ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში
და 17% - უფროს ასაკობრივ ჯგუფში. B ჰეპატიტის მაჩვენებლები ოდნავ უფრო
დაბალი იყო ორივე ასაკობრივ ჯგუფში (შესაბამისად, 12% და 8%).
- აიგ-ის პრევალენტობა (3.7%) ერთნაირი იყო ორივე ასაკობრივ ჯგუფში.

**სურათი 7: სიფილისის, B და C ჰეპატიტების და აიგ-ის გავრცელება პომოსექსუალ
მამაკაცებში**



პირითაღი განსხვავებები პირველ (2005) და მეორე (2007) კვლევებს შორის

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის BSS კვლევიდან ქცევასთან დაკავშირებული ზოგიერთი მონაცემის შედარება 2007 წლის მონაცემებთან შეუძლებელია, რადგან განსხვავებულია ტერმინოლოგია და კითხვების ფორმულირება, ამ კვლევებში მაინც არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაცემი, რომლებიც შედარების შესაძლებლობას იძლევა:

ბიომარკერი:

2005 წელს ჩატარებულ პირველ კვლევაში მონაწილეების 27.1% აღმოჩნდა დადებითი სიფილისის ტესტირებისას, ხოლო 2007 წელს კი ეს მონაცემი იყო 31.4%. ორივე კვლევაში ეს რესპონდენტთა დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს.
რაც შეეხება აიგ ინფექციას, 2005 წელს დადებითი იყო 4.3 %, ხოლო 2007 წელს კი - 3.7%.

სქესობრივი ისტორია და ქცევა:

ორივე კვლევაში მონაწილეებს ეკითხებოდნენ მათი სქესობრივი პარტნიორების ტიპების შესახებ. იდენტიფიცირებულ იქნა სქესობრივი პარტნიორების ექვსი ტიპი. მათგან მხოლოდ მამრობითი სქესის კომერციული პარტნიორები იყო მითითებული მონაწილეების დაახლოებით ერთი და იმავე პროცენტული რაოდენობის მიერ (5.1 % 2005 წელს და 4.8% 2007 წელს). რაც შეეხება სხვა ტიპებს, იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მათ ასახელებენ, მნიშვნელოვნად გაიზარდა:

- მამრობითი სქესის შემთხვევითი პარტნიორი: 27% 2005-ში და 79.3% 2007-ში
- მამრობითი სქესის მუდმივი პარტნიორი: 14.6% 2005-ში და 41.4% 2007-ში
- მდედრობითი სქესის შემთხვევითი პარტნიორი: 21.2% 2005-ში და 47.1% 2007-ში
- მდედრობითი სქესის მუდმივი პარტნიორი: 23.4% 2005-ში და 36.1% 2007-ში
- მდედრობითი სქესის კომერციული სექს-მუშაკი: 8.8% 2005-ში და 17.9% 2007-ში

ნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა:

ნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა მათი წრის თუ გარემოცვის ადამიანებისათვის აღნიშნული იყო მონაწილეობა დაახლოებით 90%-ის მიერ ორივე კვლევაში.

ამავე დროს, იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც ნებაყოფლობით ჩაიტარეს ტესტირება აიგ-ზე და მიიღეს თავისი ანალიზის პასუხები, გაიზარდა 31.4%-დან 2005 წელს 41.4%-მდე 2007 წელს.

ცოდნა სგგი-ის შესახებ:

2007 წელს იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, ვინც ვერ შეძლო, დაესახლებინა სგგი-ის სიმპტომები, გაორმაგებულზე მეტი იყო - 11.2% 2005-ში და 27.4% 2007-ში.

ამავე დროს, გაიზარდა იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, ვინც აღნიშნავს, რომ გამოუყენებია სგგი-ისთან დაკავშირებული მომსახურება (54.3 2005 წელს და 60.7% 2007 წელს) და მიიღეს სგგი ტესტირების შედეგები (51.4 2005 წელს და 97.6% 2007 წელს).

ძალადობა:

საყურადღებოა, რომ იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, ვინც აღნიშნავდა, რომ ყოფილა ძალადობის მსხვერპლი სექსუალური ორიენტაციის გამო, გაიზარდა 10%-დან 2005 წელს 21.4%-მდე 2007 წელს.

კომერციულ სექსში ჩართულობა:

იმ მონაწილეების პროცენტული რაოდენობა, ვინც აღნიშნავს თავის ჩართულობას კომერციულ სექსში - “გაუწევია სექსობრივი მომსახურება მამაკაცისათვის მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ” - გაორმაგდა 2005 წლის შემდეგ (11.4% 2005 წელს და 20.7% 2007 წელს).

გადასაჭრელი საკითხები

- აიგ-ის მაღალი პრევალენტობა სხვა მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებთან შედარებით, როგორებიცაა ნარკოტიკების ინჟექციური გზით მომხმარებლები და კომერციული სექსის მუშაკები, რაც მიუთითებს, რომ პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები არის ჯგუფი, სადაც სულ მაღალ შესაძლებელია კონცენტრირებული ეპიდემიის იდენტიფიცირება.
- სიფილისის სტაბილური პრევალენტობა, რაც მიუთითებს, რომ პომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები ან არ იღებენ სათანადო მკურნალობას, ან ხდება მათი რეინფიცირება.
- ამ ინფექციების პრევალენტობა მიუთითებს, რომ მაღალი სარისკო ქცევა - დაუცველი სექსობრივი პრაქტიკა - უკიდურესად გავრცელებულია მოსახლეობის ამ ჯგუფში. ამ მონაცემებს კიდევ უფრო ამტკიცებს 2007 წელს მიღებული კონდომის გამოყენების მაჩვენებლებიც, რომელთა მიხედვით ბოლო სექსობრივი კონტაქტების დროს კონდომის გამოყენება მამრობით პარტნიორებთან არ აღემატება 60%-ს.
- სექსობრივი პარტნიორების მრავალფეროვნება, რომელიც მიუთითა რესპონდენტთა დიდმა პროცენტულმა მაჩვენებლებმა.
- ლუბრიკანტების დაბალი გამოყენება - მონაწილეების მხოლოდ ერთი მესამედი მიუთითებს ამას.
- სგგი სიმპტომების შესახებ დაბალი ცოდნა.
- აიგ/შიდსის შესახებ დაბალი ცოდნა (მხოლოდ 24.3% შეძლო, სწორი პასუხი გაეცა აიგ-თან დაკავშირებული ექვსივე კითხვისათვის).

- დაბალია მონაცემები მამრობითი სქესის პარტნიორებთან და კომერციულ პარტნიორებთან კონდომების კონსისტენტური გამოყენების შესახებ (შესაბამისად, 35% და 28%).

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ნკტ მომსახურების ხელმისაწვდომობა არ შეცვლილა, მაგრამ ამ სერვისებისადმი მიმართვა გაიზარდა 10 %-ით ორი წლის განმავლობაში. თვალსაჩინოა, რომ უნდა მოხდეს ასეთი სერვისების პოპულარიზაცია ამ ჯგუფში, რადგან მათ არ აქვთ ამ მომსახურების გამოყენების ბარიერები.
